

ონლაინ საუბარი თემაზე - „საზოგადოების განვითარება პოსტკრიზისულ პერიოდში“

ონლაინ საუბარი ბონის უნივერსიტეტის შემეცნების თეორიის, ახალი დროისა და თანამედროვე ფილოსოფიის კათედრის გამგესთან, ფილოსოფიის ინტერნაციონალური ცენტრის ხელმძღვანელთან, პროფესორ მარკუს გაბრიელთან მიჰყავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ დავით გურგენიძეს.

ონლაინ საუბარში მონაწილეობენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი მამუკა ბერიაშვილი და დიპლომატი, საქართველოს დანიშნული დესპანი ავსტრიის რესპუბლიკაში ილია მარჯანიძე.

მვირფასო მეგობრებო, კოლეგებო, სტუდენტებო,

ქალბატონებო და ბატონებო,

მაქვს პატივი, წარმოგიდგინოთ პროფესორი მარკუს გაბრიელი, ბონის უნივერსიტეტის შემეცნების თეორიის, ახალი დროისა და თანამედროვე ფილოსოფიის კათედრის გამგე, რომელიც ხელმძღვანელობს ფილოსოფიის ინტერნაციონალურ ცენტრს. იგი ცნობილი გახდა, როგორც ახალი რეალიზმის დამფუძნებელი; მისი წიგნები „რატომ არ არის სამყარო“, „მე არ არის ტვინი“ და „აზროვნების საწყისი“ წარმოადგენს მის მიერ შექმნილ ახალ ფილოსოფიურ მიმართულებას.

ჩვენი დღევანდელი საუბრის მიზანია, კორონა-პანდემიის შემდგომ პერიოდზე ვისაუბროთ და მოვისმინოთ ჩვენი რენომირებული რესპონდენტის აზრი იმ მსოფლიოზე, რომელიც ჩვენ თვალწინ იცვლება და რომელშიც მოგვიწევს ცხოვრება. მიმაჩნია, რომ როგორც ყველა კრიზისი, ეს დიდი გამოწვევაც ბევრ შესაძლებლობას შეიცავს, რა თქმა უნდა, უზარმაზარი რისკების გვერდით, და ჩვენ სწორედ ამ შესაძლებლობების აღმოჩენა და მათი ჩვენზე და ჩვენს ქვეყანაზე მორგება გვჭირდება, ისევე, როგორც რისკების გათვალისწინება და მათი ნეგატიური გავლენის მინიმუმირება ჩვენს საზოგადოებაზე.

ბატონ გაბრიელს შევითხვებ და ვუსვამთ მე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი დავით გურგენიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი, ბატონი მამუკა ბერიაშვილი და საქართველოს დანიშნული დესპანი ავსტრიის რესპუბლიკაში, დიპლომატი, ბატონი ილია მარჯანიძე.

მსურს, პირველ რიგში, დიდი მადლობა გადავუხადო პროფესორ მარკუს გაბრიელს, რომელმაც გამონახა დრო ჩვენთან სასაუბროდ.

1. დავით გურგენიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი: ბატონო პროფესორო გაბრიელ, ჩვენ, ყველა, შეიძლება ითქვას დედამიწის მთელი მოსახლეობა, ერთი ხდომილების (ერაიგნისის) მომსწრენი ვართ, რომელიც უჩვეულო ხასიათისაა. ყველა ადამიანი თითქოს შიშა და გაუგებრობას მოუცავს, ვძრწვივართ კორონავირუსის წინაშე და თან გაურკვევლობაში ვართ: არ ვიცით, როდის და როგორი შედეგებით დამთავრდება ეს. მართალია, ეს ერთი შეხედვით სამედიცინო-ეპიდემოლოგიური პრობლემაა, მაგრამ ისეთი, რომელიც არსობრივად განსხვავდება ყველა მსგავსი ეპიდემოლოგიურ-ვირუსული ავადმყოფობით გამოწვეული პრობლემებისგან. ის არამარტო სამედიცინო გამოწვევაა კაცობრიობისათვის, არამედ უკვე, ცალსახად დაგვაყენა სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევების წინაშე. უკვე ახლავე ცხადია, რომ სამყარო ისეთი ვეღარ იქნება, როგორც აქამდე იყო. როგორ ფიქრობთ თქვენ, რა და როგორი ცვლილებების წინაშეა მსოფლიო, როგორია თქვენი მომავლის ხედვა?

მარკუს გაბრიელი - ბონის უნივერსიტეტის პროფესორი: ვფიქრობ, ჩვენ ისეთ ფენომენს ვაღწევთ თვალს, რომელსაც მე „ჰიგიენიზმს“ დავარქმევდი. ეს ნიშნავს ადამიანის ხატების წარმოსახვის ცვლილებას. ჩვენ განვიხილავთ ადამიანებს, როგორც ვირუსების პოტენციურ მატარებლებს და ვერ ვამჩნევთ, რომ ადამიანის ასეთად წარმოდგენა არ შეესაბამება ჩვენს სოციო-ეკონომიკურ გარემოებებს, მაგ., დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოს, რომელიც მაგ., გერმანიაში ჩვენი კონსტიტუციითაა განსაზღვრული. თუკი ჩვენ, ადამიანებს, როგორც ავადმყოფობის წყაროდ წარმოვაჩინოთ, დგება სახელმწიფოს, როგორც ასეთის მოქმედების აუცილებლობა. ეს გამართლებულია ვურუსული პანდემიის შემთხვევაში, მაგრამ ამ „გამართლებამ“ არ უნდა მიგვიყვანოს ზოგადსაზოგადოებრივი ურთიერთობების ცვლილებებამდე, რადგან ამ შემთხვევაში, ყველაზე უზენაეს პრინციპს - ადამიანის ღირსებას აღარ დავაყენებთ უპირატეს ადგილას. მე ვხედავ საფრთხეს, ძალიან რეალურ საფრთხეს, რომელიც სულ სხვადასხვანაირად ჩანს, იმის მიხედვით, თუ სად ვიმყოფებით, ეროვნული სახელმწიფოების დონეზე სხვადასხვაგვარი შედეგებით. ამის შესახებ ქვემოთ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ. საფრთხე კი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ადამიანის ხატებას კიდევ უფრო მეტად მცდარად წარმოვაჩინოთ. მინდა ცოტა მეტად დავასაბუთო ეს მოსაზრება. კაცობრიობის შემდგომი არსებობისთვის, ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხე, ეგზისტენციალური რისკი იმაში მდგომარეობს, რასაც მე ნატურალიზმს ვარქმევ. ნატურალიზმი, ჩემი აზრით, ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ჩვენ ადამიანს, როგორც ასეთს, მხოლოდ საბუნებისმეტყველო, ტექნოლოგიური პროგრესით განვსაზღვრავთ. რა თქმა უნდა, არსებობს საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიური პროგრესი, მაგრამ შეუძლებელია ადამიანი გაიგო და გააკონტროლო ამ მცნებებით. თანამედროვეობაში, აქამდე, ნატურალიზმის 3 ტალღა გავიარეთ და ახლა, მის ყველაზე საშინელ, ჰიგიენიზმის ეტაპზე ვართ. პირველი ტალღა იყო ე.წ. ფიზიკალიზმი; მოსაზრება, რომელიც ადამიანს ისე განიხილავს, როგორც ამას ლაპლასი, ნაპოლეონის მინისტრი აკეთებდა. მისი აზრით, ადამიანი მხოლოდ ერთი უმცირესი ნაწილაკია, ძალთა ნიუტონისეულ მოდელში. ეს მოსაზრება რომ არ შეესაბამება სინამდვილეს, კვანტური მექანიკის მიერ ბუნების მისეულმა დანახვამ დაამტკიცა. ამის შემდეგ შემოვიდა ნევროლოგია, როგორც მეცნიერება, რომელმაც გვითხრა, რომ ჩვენ შეგვიძლია ადამიანს სრულად მივხვდეთ იმ გზით, რომ მოვახდინოთ ტვინის მოდელირება. ეს თეორიაც წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან, ჯერ ერთი, ტვინის სრული შემეცნება შეუძლებელია და მეორეც, ნევროლოგიური მეცნიერებების ფილოსოფიური დაშვებები არაა სწორი. ამიტომ, ეს ტალღა სადღაც 2010 წლის მიდამოებში დასრულდა. შემდეგ ტალღად, პოპულიზმის ზრდის პარალელურად, ხელოვნური ინტელექტი, როგორც ადამიანის მოდელი შემოგვთავაზეს. ეს ნიშნავს, რომ ადამიანის დიგიტალიზაცია მოხდა. ეს მოდელიც წარუმატებლად დასრულდა, რადგან არანაირი ხელოვნური ინტელექტი არ არსებობს, ეს წმინდა წყლის ილუზიაა. რასაც ახლა ვხედავთ, ესაა მესამე და ბოლო თავდასხმა ადამიანის არსზე, რომლისგანაც თავი უნდა დავიცვათ. ესაა მოსაზრება, რომლის თანახმადაც ადამიანის სრულყოფილად გაგება შესაძლებელია მიკრობიოლოგიური პროცესების თანახმად, რომელთა კონტროლიც შესაძლებელია ეპიდემიოლოგიური მოდელებით. ესეც ადამიანის ხატების კიდევ ერთი, მორიგი მცდარი წარმოჩინებაა. მგონია, რომ ამის შემდეგ სხვა მსგავსი აღარაფერი წამოვა, მე მომავლის ოპტიმისტური ხედვა მაქვს და ესაა ყველა ადამიანის მიერ მომავლის ერთად და ერთობლივად განსაზღვრა, უნივერსალური ღირებულებების გათვალისწინებით. უნივერსალური ღირებულებები ის არის, რაც დამოკიდებული არ არის რომელიმე კულტურისადმი ჩვენს კუთვნილებაზე. მომავლის მოდელის ჩემეული ხედვა ისეთია, რომ ადამიანის ქცევის ნორმატიული მოცემულობები ისე განისაზღვროს, რომლის თანახმადაც ადამიანის არსების დანახვას, ჩვენი ჩინელი, ქართველი, იტალიელი, ფრანგი თუ ამერიკელი მეგობრები ერთნაირად შეძლებენ. ადამიანის მართებული დანახვა კი, ჩემი აზრით იმაში მდგომარეობს, რომ იგი არის თავისუფალი, სულიერი ცოცხალი არსება, რომელიც თავის საკუთარ არსს განსაზღვრავს საზოგადოებაში. ეს უნდა იყოს ამოსავალი. ამიტომ, მგონია, რომ ჩვენი მომავალი იმაზეა დამოკიდებული, თუ რას გავაკეთებთ ჩვენ ახლა. მომავალი ავტომატურად არ მოდის, თუმცა ჩვენ ისტორიულად თავისუფალი აქტორები ვართ. მომავალი უშუალო საფრთხის წინაშე დგას სწორედ ადამიანის ხატების სრულიად მცდარად წარმოდგენით. ამ კითხვაზე პასუხის დასასრულ მინდა ვთქვა, რომ არ არსებობს ადამიანი ვირუსებისა

და ბაქტერიების გარეშე. ადამიანის ბიოლოგიური მასის უდიდესი ნაწილი სწორედ ბაქტერიებისგან შედგება. მათ გარეშე არანაირი ინტელექტი არ გვექნებოდა, რადგან ადამიანის ნეირონები სწორედ დედის სხეულშივე მიმდინარე, ვირუსებისა და ბაქტერიების ინტერაქციის შედეგად წარმოიქმნება. აზრი, თითქოს ჩვენ ადამიანის სხეულიდან ყველანაირი ვირუსების გაქრობა შეგვიძლია, აბსოლუტური და ადამიანის განუკურნებელი ფანტაზიის ნაყოფია. ეს ძალიან, ძალიან საშიში იდეოლოგიაა. და სულ ბოლოს - ამ ვირუსს ჩვენ ვედარასოდეს მოვიცილებთ, ამას ამბობენ ნამდვილი ექსპერტები და არა ისინი, ვინც დღე და ღამე მედიასაშუალებებით გვესაუბრებიან. მე ბევრს ვსაუბრობ ჩვენს ვიროლოგებთან, მათ შორის ჩემს, ბონის უნივერსიტეტში და სხვა უნივერსიტეტებშიც. კოვიდ 19 და მისით გამოწვეული ავადმყოფობა მუდმივად დარჩება ჩვენთან, ჩვენ მას ვერასოდეს გავაქრობთ.

2. მამუკა ბერიაშვილი - სტუ-ის ფილოსოფიის პროფესორი: ბატონო პროფესორო, ამ კრიზისის პერიოდში ხშირად ისმის ხმები, რომ მაინც ბევრი ადამიანი იღუპება და ხომ არ სჯობს ამის გამო გარკვეული სახის „ჯოგური იმუნიტეტი“ შევქმნათ (ერცოიგენ), რომელიც „ძლიერთა“ გადარჩევისა და გადარჩენისკენ იქნება მიმართული. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ადამიანის, როგორც ავტონომიური და შესაბამისად, (თვით)პასუხისმგებლობის არსების ყოფნის ძირითადი ფორმა ზნეობრივი პრაქტიკაა, რა დროსაც მისი ძირითადი უფლებები ხორციელდება და როგორც ჰეგელი იტყოდა: „ადამიანი, რამდენადაც მას უფლებები აქვს, არის აბსოლუტური თვითმიზანი და არა საშუალება როგორც ასეთი, რომლის გარეთაც იქნებოდა მისი ცნება“ (der Mensch, insofern er Rechte hat, ist absoluter Selbstzweck, nicht ein Mittel, nicht ein solches, ausser welchem der Begriff seiner waere), მაგრამ ზნეობრივი პრაქტიკის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი ხომ ზრუნვაა (Sorge) და მზრუნველობაა (Fürsorge) სხვებისა და საკუთარი თავისათვის. „ჯოგური იმუნეტეტის“ გამომუშავების ამ სოციალდარვინისტური პოზიციიდან გამომდინარე კი, ზნეობრიობის/მორალის ადამიანთა მიერ ურთიერთრესპექტირების პრინციპი უკანა პლანზე იწევს, - ხომ არ იქნებოდა ეს/ამ შემთხვევაში ადამიანურობის, ჰუმანურობის პრინციპის ღალატი?

მარკუს გაბრიელი: ეს რაღა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი კითხვაა. სოციალ-დარვინისტული ჯოგური იმუნიტეტი, რომლის გამომუშავების მცდელობაც რამდენიმე კვირის წინ, განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთს ჰქონდა, რომელიც რა თქმა უნდა, იყო აშშ-ის მთავრობის პროექტი, ნამდვილად არ შეესაბამება ჰუმანურობის პრინციპს და ეწინააღმდეგება მას, რაზეც თქვენ საუბრობდით. სწორედ ამიტომაც შეარჩიეს მსოფლიოს უმეტესმა ქვეყნებმა სულ სხვა მოდელი, რომელსაც მე ვიროლოგიურ იმპერატივს ვეძახი. ვიროლოგიური იმპერატივი ამბობს, რომ ადამიანის სიცოცხლე, თითქმის ყველა შესაძლო მეთოდით უნდა იყოს დაცული მანამ, სანამ ჩვენი ვირუსის თვისებებს, მაგ. სიკვდილიანობას, გავრცელების სისწრაფეს, მის გადამდებობას ისე კარგად არ შევისწავლით, რომ მისი შეფასება უკეთესად შეგვეძლება. ახლა ეს უკვე მოცემულობაა, ჩვენ უკვე საკმარისად ვიცით ვირუსის შესახებ მაგალითად იმისთვის, რომ ჯოგური იმუნიტეტი, სოციალ-დარვინისტური მეთოდებით, მიუღწევადი რამაა. დავუშვათ, რომ ვირუსით სიკვდილიანობის კოეფიციენტი, როგორც ამას ბონის უნივერსიტეტი ფიქრობს, 0,37%-ია. ჯოგური იმუნიტეტის გამომუშავების შემთხვევაში, ამ მოდელით, გერმანიაში 400 000-მდე ადამიანი უნდა გარდაიცვალოს. თანამედროვე, განათლებულ, ტექნოლოგიურად წინ წასულ ცივილიზაციაში კი მიუღებელია, რომ 400 000 ადამიანი შევწიროთ იმას, რომ დავუბრუნდეთ წარმოების გლობალურ ციკლს, რომელიც თავის მხრივ, ასევე არაა ეკოლოგიურად მისაღები. ეს იმდენად არამორალური იქნებოდა, რომ არ იქნებოდა თავსებადი დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოსთვის. დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფო ეფუძნება ნორმატიულ, ეთიკურ მოცემულობებს და არ მოქმედებს მხოლოდ ლოკალურ სამართლებრივ კულტურებში. ეს ეხება მაგ., კომუნისტური დიქტატურის მქონე ჩინეთსაც, რომელიც ამ პრინციპს მიყვება და საკმაოდ ცინიკურად, უამრავ ადამიანს სწირავს მსხვერპლად. ეს სტატისტიკურად შეუძლებელია. აშშ-ც იგივეს ცდილობს. მე ვფიქრობ, რომ ისინიც მარცხს განიცდიან ამ საკითხში, რადგან ჯოგური იმუნიტეტი მხოლოდ იმ შემთხვევაში იფუნქციონირებდა, თუკი

მხოლოდ ძალიან პატარა ჯგუფები, რომლებიც სხვა ჯგუფებისგან ხანგრძლივად არიან იზოლირებულები, ასე ისურვებდნენ არსებობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აშშ-ს, ინგლისს, შვედეთს არანაირი სავაჭრო ურთიერთობები აღარ უნდა ჰქონდეს რომელიმე სხვა ერთან. ასეთ ქმედებას არსებული ეკონომიკური წესრიგის ფაქტობრივ განადგურებამდე მივყავართ. ჯოგური იმუნიტეტი ბრიყვული აზრია. რასაც მე ექსპერტი ვიროლოგებისგან ვისმენ და რაც ფილოსოფიურადაც რელევანტურია, არის ის, რომ უახლოეს წლებში არ გვექნება ვაქცინა, ეს ჩემი აზრით, უტოპიაა, თუმცა გვექნება კომბინაცია სპეციფიურად რეკონვალესცენტური, სამკურნალო მედიკამენტებისა (რათა გარდაცვალების და მძიმე ავადობის პროცენტული მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდეს) და ე.წ. ფარული იმუნიტეტისა. ადამიანების უდიდესი ნაწილი ხომ ისედაც იმუნურია ე.წ. კორონავირუსების წინააღმდეგ, თითოეულ ჩვენგანს უკვე ჰქონდა ოდესღაც კორონა-სახეობის ვირუსი. ამიტომაც, სრულიად არაა საჭირო მოსახლეობის 50-70%-ის დაავადება. ეს ციფრებიც ე.წ. ესპანური გრიპიდან მოდის, რომელსაც ახლანდელ კორონა-ვირუსთან საერთოდ არაფერი აქვს საერთო. ეს ნიშნავს, რომ ფაქტობრივი ციფრები ნაკლებია. არსებობს პრაგმატული კონსტრუქციები, რომლებიც არ ეფუძნება არც სოციალ-დარვინისტული ჯოგური იმუნიტეტის და არც ვაქცინის უტოპიებს. ასეთივედ უტოპიაა დიგიტალური თრეისინგის მოსაზრება. ჩემი აზრით, ყველა ზემოჩამოთვლილი, უაზრო უტოპიაა. თუმცა მალე გვექნება პრობლემის მოგვარების პრაგმატული კონსტრუქციები, რომელიც ადამიანის ღირსებასთან შეთავსებადია. ეს იქნება გზა, რომელსაც გავივლით და რომელზეც ახლა წინასწარ ვსაუბრობ, რადგან ინფორმაციის ჩემული ფლობის კვალობაზე, ერთადერთი შესაბამისი გზა იქნება. ჩვენ ახლა ერთ ძალიან კარგ ტექნიკურ უნივერსიტეტთან ვსაუბრობთ, რომელსაც ბატონი რექტორი წარმოადგენს. მეცნიერება და ტექნიკა გარკვეული ჰიბრიდია. ისენი არ არის უტოპია. კარგი ტექნიკა კომპლექსურ ფაქტებს ერგება და ამ შემთხვევაშიც ამას ვნახავთ, ანუ ვირუსის ტექნიკის მეშვეობით დამარცხებას, რომელიც მაღალ ეთიკურ სტანდარტებთან იქნება შესაბამისობაში. აი, ეს კი, ნამდვილად შესაძლებელია, თუმცა წინაპირობად აყენებს ყველა მეცნიერების დარგის მკაცრად განსაზღვრულ თანამშრომლობას, ჰუმანიტარული, სოციალური, უპირველესად ყოვლისა, ფილოსოფიური და ეთიკური მეცნიერებებისას, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან. მხოლოდ ასეთი კოოპერაციის პირობებში, ანუ მაშინ, როდესაც ყველაფერი, რაც რელევანტურია, კომპლექსურად იქნება კვლევის საგანი, შეგვიძლია მივაღწიოთ განმანათლებლობის მიზანს, კონკრეტულად კი, მეცნიერების, ეკონომიკის და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობას. მათ ერთად უნდა ითანამშრომლონ იმ მიმართულებით, რომ გააკეთონ ყველაფერი მორალურად მართებული, რაც უნდა იყოს უზენაესი მიზანი. ეს უბრალოდ შესაძლებელია, მორალურობა განახორციელო ინსტიტუციონალურად. ძალიან მიხარია, რომ ამის დანახვა ახლა გერმანიაში შესაძლებელია, სადაც საზოგადოებრივი დისკუსია სწორედ ამ მიზანს ირჩევს - პრობლემის პრაგმატული გადაწყვეტა მაღალი მორალური სტანდარტებით. სხვა არაფერი გამოგვიყვანს ამ კრიზისიდან და ამ კრიზისის შემდეგაც, ბევრად მეტი კრიზისები გველოდება, მათ შორის, კლიმატის კრიზისი, ეკონომიკის ისეთი კრიზისი, რომლის წარმოდგენა ახლა არც კი შეგვიძლია, ახალი ნაციონალისტური პრობლემები და ასე შემდეგ. ყველა ეს პრობლემა მხოლოდ ზემოთ მოცემულ ფორმატშია მოგვარებადი.

3. მამუკა ბერიაშვილი: კორონა პანდემიის დროს მსოფლიოს ძალები (Weltmaechte) დაპირისპირებული სოციალ-პოლიტიკური სისტემები ერთმანეთს ადანაშაულებენ (მაგ., ჩინეთი და აშშ) ამ კრიზისის წარმოქმნაში - ხომ არ არის ეს გამოწვეული თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის სფეროების დაკარგვის შიშის გამო. 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შემდგომ პერიოდში შექმნილი ვითარება აქსელ ჰონეტმა დაახასიათა, როგორც XXI საუკუნის დასაწყისში, მსოფლიოს ძალებს შორის აღიარებისათვის წარმოებული ბრძოლის უკიდურესად გააფთრებულ სტადიაზე გადასვლა. ხომ არ არის დღევანდელი პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა ამ პროცესის გაგრძელება ან ხომ არ შეიცავს ის თავის თავში ამ ბრძოლის კიდევ უფრო გამძაფრების საშიშროებას?

მარკუს გაბრიელი: 2008 წლის ფინანსური კრიზისისგან განსხვავებით, როდესაც ადამიანები ფიქრობდნენ, რომ მხოლოდ ორი მსოფლიო ძალა არსებობს, საბჭოთა კავშირი და აშშ, რაც ცივი ომის დროინდელ შეფასებას შეეფერებოდა, ამჟამად აღარ გვაქვს მოცემულობა, რომ მაგალითად მხოლოდ ჩინეთი და აშშ არიან მთავარი მოთამაშეები. ამ 2008 წლის კრიზისმა და განსაკუთრებით, კორონავირუსმა და აშშ-ს პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევამ სრულიად ახლებურად წარმოაჩინა, რომ გვაქვს სრულად მულტიპოლარული სამყარო. რუსეთი ჯერ კიდევ არსებობს და თქვენ ბევრად უკეთ იცით, ეს რას ნიშნავს, ვიდრე მე. თქვენ ის გაქვთ, როგორც პრობლემა. არსებობს ჩინეთი, რუსეთი, ევროკავშირი, რომელსაც როგორც ძალაუფლების ფაქტორს, საკმარისად არ აფასებენ და რა თქმა უნდა, არსებობს აფრიკა და ლათინური ამერიკა; ასევე, ისეთი დიდი მოთამაშე, როგორცაა ინდოეთი. ანუ, გვყავს ბევრი მსოფლიო მოთამაშე ძალიან კომპლექსურ, მულტიპოლარულ მსოფლიო წესრიგში, რომელშიც ვერავინ დომინირებს. ესაა განსხვავება ცივი ომის პერიოდისგან, როდესაც იყო ერთი წესრიგი სხვა წესრიგებზე დომინირების შესაძლებლობა. ეს შესაძლებლობა განადგურებულია კომპლექსურად ახალი პროცესებით. გვაქვს აბსოლუტურად სხვა სოციალური სისტემა და აშშ უკვე დიდი ხანია აღარაა ე.წ. ჰეგემონიური ძალა. იმიტომ, რომ არსებობს ჩინეთი, მაგრამ იმიტომაც, რომ ბევრი სხვა მოთამაშეც არსებობს. აშშ-სა და ევროკავშირის შორის ეკონომიკური და კიბერომი მიდის. ე.წ. „დასავლეთი“ დიდი ხანია აღარ არსებობს. დონალდ ტრამპი არაა ის, ვინც „დასავლეთი“ დაასამარა - ის, როგორც პროექტი, დიდი ხანია განადგურდა. ეს პროექტი თავიდანვე შეცდომა იყო თუნდაც იმიტომ, რომ პროექტი „დასავლეთი“ შეიძლება მხოლოდ „აღმოსავლეთის“ წინააღმდეგ არსებულიყო. ეს ნიშნავს, რომ, როდესაც მე „დასავლეთზე“ ვსაუბრობ, უკვე ვტოვებ უნივერსალისტურ ხედვას. მოსაზრება, რომ „დასავლეთი“ „აღმოსავლეთის“ წინააღმდეგ მოქმედებს და პირიქით, უკვე არამორალური მოსაზრებაა და ამიტომ შეუძლებელია, მან სტაბილურ წესრიგამდე მიგვიყვანოს. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ახლა გამაფრებულად ვხედავთ, რომ კრიზისმა გამოაჩინა ის, რაც კრიზისისგან დამოუკიდებლად უკვე ფაქტი იყო. უხილავმა კორონავირუსმა სისტემის კრიზისი ნათლად დაგვანახვა. ახლა უკვე შეუძლებელია ვინმემ იფიქროს, რომ დონალდ ტრამპის აშშ-ი ჰეგემონიური მსოფლიო ძალაა. აშშ-ის ჰეგემონიური მსოფლიო ძალაუფლება ახლა ამერიკული ტექნოლოგიური მონოპოლიების ხელშია. აშშ-ის ძალა არა ვაშინგტონის მთავრობაში, არამედ ფეისბუქში, გუგლში, ტვიტერში, ზუმსა და სკაიპშია. ესაა ამერიკული მსოფლიო ძალა. დონალდ ტრამპს საერთოდ არ აქვს დიდი ძალაუფლება, ჩვენ იქ სხვა ძალები გვაქვს. ამიტომ, ვფიქრობ, რომ ახლა ჩვენ აღიარებისთვის ბრძოლას კი არ ვხედავთ, და არც ე.წ. ცივილიზაციების ჯახს, ჰანტინგტონისა და ფუკუიამას მიხედვით, არამედ ვხედავთ ნამდვილად, ჭეშმარიტად (genuine) მულტიპოლარულ წესრიგს, რომელშიც ჩვენ უნდა ვისწავლოთ გლობალურად ფიქრი. გლობალიზაცია, რომელიც აღარ არსებობს, წმინდა ეკონომიკური გლობალიზაცია მით უმეტეს, განადგურებულია. ის უნდა შეიცვალოს ღირებულებების გლობალიზაციით, როგორც შტეფან ბრუნჰუბერმა მას Club of Rom უწოდა. ეს სრულიად სხვა მოდელია. ჩვენ ბრძოლის მოდელიდან უნდა გამოვიდეთ, რომელშიც ნაციონალური სახელმწიფოები ერთმანეთთან კონკურენციის პირობებში იმყოფებიან, უნდა ვაღიაროთ, და ეს აღიარება უნდა იყოს უფრო ღრმა, ვიდრე უბრალოდ სოციალური აღიარება, რომ ჩვენ, სიტყვასიტყვით, ერთ ნავში ვზივართ, ერთი პლანეტის ცოცხალი არსებები ვართ, რომ არანაირი ფუნდამენტური განსხვავება ჩინელ ადამიანი-ცხოველსა და უგანდელ ადამიანი-ცხოველს შორის არ არსებობს, ჩვენ ყველას გვემუქრება ვირუსის თუ კლიმატის კრიზისები. ეს არის ჯერ პირველი ნაბიჯი ბიოლოგიური უნივერსალიზმის და შემდეგ ჭეშმარიტი ეთიკური უნივერსალიზმისკენ. ეს ფაზა წინ გვაქვს. მე ვამტკიცებ და ჩემი წინასწარმეტყველება იქნებოდა, რომ წინ კაცობრიობის მკაცრი მორალიზების პერიოდი გველის. მორალური პროგრესი იქნება ამ კრიზისის შედეგი, ეს ეფექტური იქნება, რადგან დასაწყისში ვიროლოგიური ხასიათის იქნება, ე.წ. ჯანმრთელობის დიქტატურის სახით და ამის შემდეგ დავინახავთ, რომ მორალური პოლიტიკა შესაძლებელია.

4. ილია მარჯანიძე - საქართველოს დესპანი ავსტრიის რესპუბლიკაში: სიამოვნებით გავაგრძელებდი თემატურად, პროფ. ბერიანვილის დასმულ შეკითხვას. რეალობაა, რომ მსოფლიოს პოლიტიკური და ალბათ, ეკონომიკური წესრიგიც იცვლება. საკითხი ეხება, გლობალიზაციის ინტენსივობის და მისთვის ფორმის მიცემის (გემტალტუნგი) საკითხს. როგორ ფიქრობთ, როგორი მიმართულებით შეიძლება შეიცვალოს ძალაუფლების ცენტრების ლანდშაფტი და ბუნება მსოფლიოში? **ხომ არ გადავდივართ იმ საფეხურზე, როდესაც არა რომელი, არამედ როგორი გახდება ის განმსაზღვრელი, რაზეც ძალაუფლების ახლებური ცენტრები წარმოიქმნება?**

მარკუს გაბრიელი: ვფიქრობ, დავინახავთ სისტემურ კონკურენციას, რაზეც კრიზისამდეც იყო საუბარი, ოღონდ ღირებულებების მიმართულებით. ეს ბევრად მეტია, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ. არ უნდა დაგვავიწყდეს აფრიკა, რომელიც დიდი ხანია ჩინეთთან ძალიან კარგი თანამშრომლობის რეჟიმში ფუნქციონირებს. ეს ჯერ კიდევ მათ მე დუნის იდეა იყო. სამყაროს სამად, პირველ, მეორე და მესამე სამყაროებად დაყოფა მაოიზმიდან მომდინარეობს. დღეს მას გლობალური სამხრეთი ჰქვია, თუმცა ეს ისევ მაოიზმია. ეს არის ჩინეთის კომუნისტური პარტიის მაოისტური იდეა უკვე მრავალი ათწლეულია და ეს იდეა სინო-მარქსიზმის სახით მიზანმიმართულად, ნაბიჯ-ნაბიჯ ხორციელდება. მასვე მიეკუთვნება მნიშვნელოვანი აფრიკის პოლიტიკა, მაგრამ ასევე, პოლიტიკა, რომელიც ტარდება სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპაში. ჩინელებს ძალიან დიდი გავლენა აქვთ მაგ., იტალიაზე, პოლონეთზე, უნგრეთზე. დღეს იტალიელების დიდი ნაწილი ჩინელებს მეგობრებად, გერმანელებს კი მტრებად მიიჩნევენ. კრიზისის დასაწყისში ყველა ფიქრობდა, რომ ჩინეთი გადაარჩენდა. თუმცა პრობლემა არა მხოლოდ ჩინეთია, არამედ მომავალი აფრიკა. ჩვენ უნდა შევექმნათ სივრცე აფრიკისთვის. ჩინეთთან დაკავშირებით, უკვე 10 წელია ვამბობ, რომ ჩინეთი საშიში გახდება მაშინ, როდესაც ჩინელები ფიქრს დაიწყებენ. 2018 წელს უკვე ვნახე შანხაიში, რომ უცებ კარგი ჩინელი ფილოსოფოსები აღმოვაჩინე. ჯერ კიდევ 2015 წელს, ჩინეთში კარგ ფილოსოფოსს ვერ ვპოულობდი, არამედ ვპოულობდი ე.წ. „კოპირებებს“, რომლებიც იმიტირებდნენ იმას, რაც ე.წ. დასავლეთში ხდებოდა. ახლა კი ფაქტია, რომ ჩინელებს შეუძლიათ იაზროვნონ. ეს რა თქმა უნდა, არაა სიურპრიზი, მათ 8000-წლიან ისტორიას თუ გავითვალისწინებთ, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი უკვე აქ არიან. იგივეს ვხედავ აფრიკაშიც. ჩინეთში მაგ., ფილოსოფოსმა ჯაო ტინგ იანგმა და სხვებმა ნამდვილად აღსანიშნავი მოსაზრებები გამოთქვეს უნივერსალისტური პოლიტიკის თეორიის მიმართულებით, ისევე, როგორც აკილ ბემბემ და სხვებმა აფრიკაში, რომლებსაც გერმანიაში ამჟამად მკაცრად ესხმიან თავს, რადგან ევროპასაც ეშინია აფრიკისა. ეს ყველაფერი კი მცდარია, რადგან ჩვენ ყველამ ახალ აქტიორთან უნდა ვითანამშრომლოთ, რათა ასიმეტრიული ურთიერთობები გავარღვიოთ. ასე რომ, მე ვხედავ მრავალ ახალ მოთამაშეს ამ ბაზარზე, რომლებიც კრიზისის შემდეგობით გამოდიან წინა პლანზე. ევროკავშირმა, მაგ., ამ კრიზისის დღეებში აღმოაჩინა, რომ ჩვენი თითქმის ყველა მედიკამენტის წარმოება ინდოეთსა და ჩინეთში ხდება. კრიზისის დასაწყისში, ჩვენს აფთიაქებში პარაცეტამოლი არ იშოვნებოდა, რადგან ინდოელები მას არ გვაწოდებდნენ. ამ დღეების დიდი მოვლენაა მაგ., ის, რომ ევროპელები შემობრუნდნენ და გადაწყვიტეს, რომ მაგ., მედიკამენტები თავად აწარმოონ. ვხედავთ ბრუტალურ დეგლობალიზაციას, რადგან ევროპელებმა და ჩრდილო ამერიკელებმა ნათლად დაინახეს, რომ კოლონიალიზმი დასრულდა. ჩვენ პოსტ-კოლონიურ ფაზაში ვართ და ამიტომ არსებობენ პოსტ-კოლონიური თეორეტიკოსები ჩინეთშიც, აფრიკაშიც და რა თქმა უნდა, ლათინურ ამერიკაშიც, რომლებსაც ჩვენ სერიოზულად უნდა შევხედოთ. მე ვფიქრობ, უხეში შეცდომაა, როდესაც ვინმეს აროგანტულად სჯერა, მე-19 საუკუნის მონაპოვარზე დააშენოს მომავალი. ევროპამ საკუთარი ადგილი ახალ მსოფლიო წესრიგში უნდა დაიმკვიდროს, ოღონდ თანაბარუფლებიანი პარტნიორის სახით. ამ ახალი წესრიგით გამოწვეულ ახალ სიმეტრიას ვხედავ, რომელშიც არავის შეუძლია გააკონტროლოს ეს წესრიგი. მათ შორის, ეს ყველაზე ნაკლებად ჩრდილოეთ ამერიკელებს შეუძლიათ. ამერიკული იმპერია განადგურებულია. აუცილებელი არაა, ყველაფერი ანტიკური რომივით დაიწვას. ამ ყველაფერს 21-ე საუკუნის წესრიგში ვხედავთ. დონალდ ტრამპს, ალბათ, ისევ აირჩევენ და ალბათ, იქნება წარმოუდგენელი ქაოსი. არაფერი შეიცვლება მაშინაც, თუკი ჯო ბაიდენი გახდება პრეზიდენტი, რადგან ჯო ბაიდენი, ბარაკ ობამას სუსტი

ვარიანტია. და არ დაგვაფიქვდეს, რომ ბარაკ ობამა უკვე იყო იმპერიის დასასრული. ბარაკ ობამა საშინელი პრეზიდენტი იყო. ძალიან მცდარი მოსაზრებაა, მათ შორის გერმანელების, რომ ობამა ჩვენი მეგობარი იყო. არ იყო ასე. სწორედ ობამა იყო ის, ვინც გერმანიის მთავრობას უკანონოდ უსმენდა, ობამა შეიჭრა სწორედ ლიბიაში. 2015 წლის დევილთა კრიზისი ევროპაში საერთოდ არ იქნებოდა, ობამას მთავრობას ჩრდილოეთ აფრიკის დესტაბილიზაცია რომ არ მოეხდინა. ობამას მთავრობამ ვერ შეძლო მოეგვარებინა სირიის კრიზისი და სივრცე შეუქმნა რუსეთს. ეს ნიშნავს, რომ ამერიკული იმპერიის დასრულების საკითხი დიდი ხანია გადაწყვეტილია, ჩვენ თავს უკვე დიდი ხანია პოსტ-ამერიკულ ფაზაში ვხედავ.

ეს ნიშნავს, რომ ახალი ძალაუფლების ცენტრები შესაძლებელი იქნება და შეძლებენ მხოლოდ გლობალურ ღირებულებათა სისტემას დაეფუძნონ, რადგან ასიმეტრიული არგუმენტები აღარ არის ძალაში. ამის აღარავის სჯერა და აღარავინაა მზად, ვინმეს სხვას დაემორჩილოს, მადლობა ღმერთს. აღარავინ დაემორჩილება აღარც ამერიკელებს და აღარც ჩინელებს. კითხვაშიძლება ის იყოს, თუ ვინ მოახერხებს ჩვენს დარწმუნებას ახალ გლობალურ ღირებულებათა სისტემაში, რომელიც მდგრადია და მორალურად დასაბუთებული. აქ ევროპელებს საკმაოდ კარგი კარტები უკავიათ ხელში, ჩვენი ფილოსოფიური ტრადიციის წყალობით, თუმცა ეს კარტები რაციონალური არგუმენტაციით, ყოველგვარი ასიმეტრიის გარეშე უნდა იქნეს შეთავაზებული, არა როგორც დომინირება, რადგან ვეღარავინ შეძლებს დომინირებას, მათ შორის ვერც ევროპელები.

5. დავით გურგენიძე: კორონავირუსმა, დღეისათვის, კიდევ ერთი საკითხი გახადა ძალზე აქტუალური, ეს არის იმედის, რწმენის და მოთხოვნილების გაზრდა მეცნიერ-სწავლულთა მიმართ და ეს პროცესი არა ერთ რომელიმე ცალკეულ ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიო საზოგადოებაში დაიდრა. მართლაც, მსოფლიო საზოგადოება შევლას სწორედ მეცნიერ-ექსპერტებისგან ელის. ამ კრიზისის ფონზე, აკადემიური სივრცე, ისე როგორც არასდროს, მოთხოვნადი გახდა. საქმე მხოლოდ სამედიცინო სფეროს არ ეხება, არამედ ყველა იმას, რომელიც უშუალოდ თუ გაშუალებულად გადამწყვეტ როლს თამაშობს კრიზისის დაძლევაში. ეს, უპირველეს ყოვლისა, საბუნებისმეტყველო, ეკონომიკური თუ აგრარული სფეროებია, მაგრამ, რადგანაც კორონავირუსი ადამიანური ყოფის ყველა სფეროს შეეხო, ხოლო ადამიანობა/კაცობრიობა ერთმანეთთან მორალური კომუნიკაციის ორგანიზმია, მოთხოვნადია ან უნდა იყოს ის სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები, რომელიც სამართლიანობის, ზნეობრიობის/მორალურობის კვლევებითაა დაკავებული. მართალია, უმეტესწილად ეს აკადემიური აქტიურობა უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარეობს, მაგრამ ეს ცოდნები/ცოდნა მთელი საზოგადოებისთვისაა რელევანტური, რათა საზოგადოების წევრებმა, როგორც კონკრეტულად ამ და (საერთოდ ყველა კრიზისულ) მდგომარეობაში და საერთოდ/ზოგადად, შეძლონ სწორი ორიენტირების განსაზღვრა თავიანთი აქტივობებისათვის. ეს კი განმანათლებლურ ცოდნას გულისხმობს. როგორ ფიქრობთ, როგორც საზოგადოებრივად აქტიურ აქტორს, რა როლი ენიჭება თანამედროვე უმაღლეს სასწავლებლებს განმანათლებლური ცოდნის გავრცელებისათვის საზოგადოებაში?

მარკუს გაბრიელი: დიდი მადლობა ამ ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვისთვის, რომლითაც გარკვეული პერიოდია უკვე დაკავებული ვარ, მით უმეტეს, ამჟამად. მე ვფიქრობ, რომ მომავლის უნივერსიტეტის მოდელი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ყველა დიდი საუნივერსიტეტო კვლევითი პროექტი ტრანსდისციპლინურია. ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი, რასაც ვიკვლევთ და ვამუშავებთ, შეიძლება მხოლოდ იმ ფორმით, როდესაც ყველა მიმართულების ექსპერტები ერთმანეთთან პერმანენტულად არიან კავშირზე. როდესაც მე, ამჟამად, ახალი ეთიკის საკითხზე ვმუშაობ, პასუხი უნდა გავცე შეკითხვაზე, ვინ ან რა არის ადამიანი. ამას მე ვერ შევძლებ, თუკი არ დაველაპარაკები მიკრობიოლოგს, ნევროლოგს, ფსიქოლოგს, სოციოლოგს, ფიზიკოსს, ლიტერატურათმცოდნეს და საზოგადოებრივი მეცნიერების ექსპერტს. ყველა რელევანტური თემის დამუშავება მხოლოდ ტრანსდისციპლინური ფორმითაა შესაძლებელი. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ორი საკითხი აუცილებლად უნდა გადავლახოთ. პირველია არასაჭირო სპეციალიზება. რა თქმა უნდა,

განათლების დროს ვახდენთ სპეციალიზებას. მაგ., ფიზიკა სპეციალიზებაა. თუმცა, როგორც კი სპეციალიზება მიღწეულია, რაც ყველაზე გვიან სადოქტორო ნაშრომით და პრომოციით სრულდება, რაც შესაძლოა 10 წელიც გაგრძელდეს, რის შემდეგაც ადამიანი უკვე პროფესიონალია. შემდგომი მიზანი უნდა იყოს საზოგადოებრივად რელევანტური კვლევების წარმოება, რაც ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებას შესთავაზო პრიორიტეტული სტრუქტურები. უნივერსიტეტებმა უნდა შექმნან მომავლის საზოგადოების მოდელები. ხომ შეუძლებელია, რომ ვალდებულნი ვიყოთ, ისევე ადამ სმიტი და კარლ მარქსი ვიკითხოთ. ეს უბრალოდ მოძველებულია, აღარაა მართებული. „კაპიტალში“ მხოლოდ სისულელე წერია. ადამ სმიტიც ასეა, დღევანდელი სტანდარტებით სრულიად არასერიოზულია, მაგრამ ამის მიუხედავად, ეკონომისტები მაინც ადამ სმიტს კითხულობენ. ჩვენ გვჭირდება ადამ სმიტი, კარლ მარქსი ან ჰეგელის სამართლის ფილოსოფია, ოღონდ დღეს და დღევანდელიობისთვის. უნივერსიტეტებს ამის განხორციელება მხოლოდ გიგანტური ფორმის კოოპერაციის პირობებში შეუძლიათ. და სწორედ ეს უნდა იყოს საუნივერსიტეტო მუშაობის მიზანი, მოახდინოს მომავლის საზოგადოების მოდელის შექმნა. ჩემი შემდეგი წინასწარმეტყველება იქნება ის, რომ კორონა-კრიზისის შემდეგ აკადემიური კვლევა მუდმივი ფუტუროლოგია იქნება. სიღრმისეული ფიზიკა იმას კი არ აღწერს, რაც სკოლის დასრულების სახელმძღვანელოში წერია, არამედ იმას, როცა კაცმა არც კი იცის, რას აკეთებს, რადგან რადიკალურ კვლევებში არანაირი წესები არ არსებობს. ამას აკეთებს თითოეული ფილოსოფიაში და ან ლიტერატურის თეორიაში. კაცმა რომ თქვას, არავინ არაფერი იცის, არამედ მოძრაობს თავისუფალ უწონობაში ისეთ სივრცეში, რომელსაც ფორმა სწორედ ჩვენი კვლევებით ეძლევა. მეცნიერება, კაცმა რომ თქვას, ფუტუროლოგიაა. და ჩვენ ეს უნდა შევძლოთ უნივერსიტეტების ახლებურად ორგანიზებით. წარმოვიდგინოთ, რომ გვაქვს დეპარტამენტი ან ფილოსოფიის ინსტიტუტი, მაგრამ თითოეული პროფესორი ან თანამშრომელი, რომელიც ხელშეკრულებითაა დაკავშირებული მათთან, ანუ არის აკადემიური სფეროს თანამშრომელი, სწავლებით არის დაკავშირებული სხვა დეპარტამენტებთანაც და აქვს ტრანსდისციპლინური კურიკულუმი, რომლის მთავარი მიზანი, საზოგადოებრივი რეკომენდაციების გაცემაა. სწორედ ეს იყო უნივერსიტეტის იდეა გვიანდელ მე-18 და ადრეულ მე-19 საუკუნეებში. ესაა ის, რაც გერმანულ იდეალიზმს სურდა. ისინი მართლები იყვნენ. კანტი, ფიხტე, შელინგი, ჰეგელი სრულიად მართლები იყვნენ უნივერსიტეტების მათეულ გააზრებაში. პლატონსა და არისტოტელესთანაც ვერ იპოვიოთ სხვას ვერაფერს. ესაა აკადემიურობის ცნება. აკადემიურობის მხოლოდ ერთი დეფინიცია არსებობს და ახლა რასაც ვხედავთ, არის ის, რომ აკადემიურობა კვლავ, ისევე გვჭირდება. უნივერსიტეტი, რომლის მიზანიც მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ როგორმე დონორების თანხები მოიზიდოს და სრულიად არარელევანტური საკითხების კვლევა აწარმოოს სადღაც სპილოს ძვლის სასახლეში, ასეთმა უნივერსიტეტმა მსოფლიო ისტორიული ღირებულება დაკარგა. ასეთი რამ შეიძლება არსებობდეს, სადმე კერძო უნივერსიტეტში, ადამიანი ხომ თავისუფალია, მაგრამ ეს არაა უნივერსიტეტის არსი! და სწორედ ამიტომაც გვაქვს სახეზე ლიბერალური დემოკრატიის კრიზისი, განსაკუთრებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, რადგან უნივერსიტეტები არ იყვნენ უშუალო კონტაქტში საზოგადოების სხვა სისტემებთან. ამ კრიზისში სიახლე ისაა, როგორც თქვენც აღნიშნეთ, რომ ჩვენ, როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლები საზოგადოებისთვის საჭირონი ვართ და ეს აღარ უნდა დავთმოთ. მოკლედ რომ ვთქვა, უნდა დავუბრუნდეთ აკადემიურობისა და უნივერსიტეტის მაღალი სტანდარტების გააზრებას, როგორც ეს პლატონთან, არისტოტელესთან, კანტთან და ჰეგელთანაა მოცემული. ესენი მხოლოდ ჩემი მაგალითებია, სხვათა პოვნაც არის შესაძლებელი. ყველაფერი ამაზე ნაკლები, ადრე თუ გვიან მიგვიყვანს იქამდე, რომ უნივერსიტეტი გახდება დრომოჭმული. კიდევ რომ დავაზუსტო, მე მართლაც მჯერა განმანათლებლობის იდეის პროექტისა. ამ დღეებში ხომ სწორედ ამას ვხედავთ, რომ მხოლოდ განმანათლებლობის პროექტი ფუნქციონირებს გამართულად.

კორონა-კრიზისში დონალდ ტრამპის წარუმატებლობის მიზეზი სწორედ ისაა, რომ ამერიკაში მხოლოდ ელიტური და კერძო უნივერსიტეტებია, რომლებსაც არაფერი აკავშირებთ სოციალურ სინამდვილესთან. ესაა პრობლემა და ესაა მათი წარუმატებლობის მიზეზი. მაგალითად, რომ ავიღოთ ინგლისი - რა თქმა უნდა, ცოტა ინგლისელი არაა ჰკვიანი, სწორედ რომ პირიქით, თუმცა ისინიც

სპილოს ძვლის კოშკში ცხოვრობენ, ოქსფორდს და ქემბრიჯს არ შეუძლიათ საზოგადოების პრობლემების მოგვარება, რადგან უზარმაზარი განსხვავებაა The Telegraph-ის პუბლიკასა და ფილოსოფიური ჟურნალების პუბლიკას შორის. ეს უნდა იქნას გადალახული და ახლა ეს შეგვიძლია გავაკეთოთ.

6. ილია მარჯანიძე: აქტუალურმა კოვიდ 19-ის პანდემიამ, ევროკავშირი დიდი გამოცდის წინაშე დააყენა. იმ დროს, როდესაც ჯერ ბრექსიტის პროცესი არ დასრულებულა, ევროკავშირის დაემატა შიდა სოლიდარობის და სიცოცხლისუნარიანობის ძალიან დიდი გამოცდა. როგორც კაცობრიობის ისტორია ადასტურებს, დიდი გარდატეხები სწორედ ძალიან მძიმე კრიზისებში ან ამ კრიზისების შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე ხდებოდა. ხომ არ ფიქრობთ, რომ მიუხედავად დიდი პრობლემებისა, ევროკავშირს, როგორც სამყაროს არსებობის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი მშვიდობისა და მდგრადი კეთილდღეობის განმაპირობებელ პროექტს, მიეცა უნიკალური შანსი, კიდევ უფრო გაძლიერდეს და განვითარების, შემდგომი ინტეგრაციის ახალ ეტაპზე გადავიდეს? და ეს იმის ფონზე, რომ ძალიან ბევრი ძალა, აქტიურად ცდილობს ევროკავშირის პროექტის წარმატების შეფერხებას ზემოქმედების მრავალმხრივი ბერკეტებით, მათ შორის, თვით ამ გაერთიანების წევრ ქვეყნებში ყველა მიმართულების ულტრა და ექსტრემისტული ძალების მხარდაჭერის გზით?

მარკუს გაბრიელი: ვეთანხმები, ვიღებ თქვენს ძალიან ზუსტ შეფასებას, რომ არსებობს მასიური თავდასხმა ევროკავშირზე, ევროკავშირის შიგნით, რომელიც ნაწილობრივ გარედან არის მართული, ბუნებრივია, რუსული და ჩინური კიბერ-ჩარევებით და ასევე, სხვა ქმედებებით, რომელთა მიზანია, ევროპული ინტეგრაციის ჩაშლა და მისი წარუმატებლობაა. ვფიქრობ, რომ ნამდვილად არსებობს ევროპა, როგორც იდეა. რა არის ეს? არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ თვითონ სიტყვა, ევროპა, ბერძნული მითოლოგიიდანაა. ეტიმოლოგიურად, სიტყვა ევროპა ნიშნავს დიდთვალებიან არსებას, დიდი ალბათობით, დიდთვალებიან ძროხას. ესე იგი, ევროპა დიდთვალებიანი ძროხაა. ჩვენ ამ ეტიმოლოგიის უფრო ფართოდ დანახვა და გავრცობა შეგვიძლია და ასეთი მიდგომით, ევროპა არის ის, ვინც ფართოდ იყურება და ფართოდ, შორს ხედავს. აი, ეს უნდა იყოს 21-ე საუკუნის ევროპის ნამდვილი სურათი. ევროპა უნდა იყოს უნივერსალისტური ღირებულებების თანამეგობრობა და არა უბრალოდ ეკონომიკური კონსტრუქცია. ეს შესაძლებელია და მგონია, რომ ევროკავშირი ახლა სწორედ ცდილობს შეიმუშაოს New Green Deal. ევროკავშირის სტრატეგია, ჩემი აზრით, საკმაოდ ნათელია, იგი ცდილობს, მდგრადი, შესაძლებელი (tragfähig) მომავლის მოდელი შეიმუშაოს და ამიტომ, მოახერხოს მორალური გადაწყვეტილებების მონეტარიზება, რეალიზება, ანუ ეკონომიკური ღირებულების მორალურ ღირებულებებთან დაკავშირება, ე.წ. ყვლეფა-მარცვის სტრუქტურების ნაცვლად. თუ ეს ყველაფერი წარმატებული იქნება, ეს ნიშნავს, რომ გვაქვს 21-ე საუკუნის საზოგადოების მოდელი, რადგან მასში ფული და მორალი ერთმანეთთან იქნება დაკავშირებული. სრულებით არაა აუცილებელი, რომ ფული ავტომატურად ყვლეფა-მარცვას უკავშირდებოდეს. ამას კარლ მარქსი ამტკიცებს და კითხვა ისაა, რატომ გვჯერა ჩვენ კარლ მარქსის? და ირონია ისაა, რომ 21-ე საუკუნის ეკონომიკური მეცნიერები, ნეოლიბერალები - ყველანი მარქსისტები არიან. ისინი მოცემულობად იღებენ მარქსისტულ მოსაზრებას, რომ მეტი ღირებულების შექმნა, მხოლოდ ყვლეფა-მარცვით არის შესაძლებელი და ამ მიზნით, მათემატიკურ მოდელებს ქმნიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ასეთი კაპიტალისტური ლოგიკა, მარქსისტული ლოგიკაა. ამიტომ ვიტყვოდი, რომ სულ სხვაგვარი მოსაზრება გვჭირდება, საბაზრო ეკონომიკა სრულიად არაა საჭირო, იყოს მარქსისტული. კაცმა რომ თქვას, ამ ეტაპზე გვაქვს ჰიბრიდული კონსტრუქცია მარქსიზმისა და კაპიტალიზმისა, როგორც ღირებულებითი სისტემა, რაც ჩემი აზრით, მცდარი კონსტრუქციაა. ეს რომ იციან ადამიანებმა, ამიტომაც წამოვიდა ე.წ. პროგრესული ეკონომისტების თაობა, მათ შორის, ჩემს უნივერსიტეტში, exzellent cluster „e contribute“-ის სახით, რომელიც ისეთ მოდელებზე მუშაობს, როგორიცაა „მორალი და ბაზარი“. ისინი ისეთ ეკონომიკურ მეცნიერულ მოდელებზე მუშაობენ, რომელშიც მორალური ქმედების მონეტარიზება, რეალიზაციაა შესაძლებელი. ვფიქრობ, ასეთი მცდელობები კიდევ მეტი იქნება. ადრე თუ გვიან, ამ შრომებისთვის ნობელის პრემიის გაცემაც მოხდება, რადგან ნეოლიბერალიზმით და მარქსიზმით შემდგომი არსებობა შეუძლებელი იქნება.

თუმცა, როგორც თქვენ აღნიშნავთ, როგორც ევროკავშირის შიგნით, ასევე მის გარეთ არსებობენ ექსტრემისტული ძალები, რომელთა მიზანია ამ პროექტის წარმატების დაუშვებლობა. რაც მე ოპტიმისტურად განმაწყობს არის ის, რომ ევროპის უმეტეს ქვეყნებში, სამწუხაროდ, არა იტალიაში, ვხედავთ, რომ მთავრობებისადმი ნდობის მატება შეინიშნება, რადგან მთავრობები საქმიანად ტრანსპარენტულად და მორალურად ტრანსპარენტულად მოქმედებდნენ კორონა- კრიზისის პირველ ფაზაში. თუმცა რა თქმა უნდა, არსებობს დიდი დეფიციტებიც, სამხრეთ ევროპასა და აღმოსავლეთ ევროპაში. ამ პრობლემის მოგვარება მხოლოდ იმ ფორმით არის შესაძლებელი, რომ ჩვენ, ე.წ. ჩრდილოეთ ევროპელებმა, სამხრეთ ევროპელებს ე.წ. მეგობრობა უნდა შევთავაზოთ. სრულიად კონკრეტულად ეს იმას ნიშნავს, რომ ხედვა უნდა შეიცვალოს, სურათი უნდა შეიცვალოს, როდესაც მაგ., გერმანელები ბერძნებს მხოლოდ მაშინ ხვდებიან, როცა ბერძნები რესტორნებში მიმტანებად ემსახურებიან მათ. იქამდე, ვიდრე მაგ., გერმანელები, საბერძნეთში მხოლოდ ტურისტები არიან, ასეთი მეგობრობა ვერ შედგება, რადგან ტურიზმი ასიმეტრიული ურთიერთობაა ოფიციალტსა და სტუმარს შორის. ეს არაა სტუმართმოყვარეობა, არამედ საბაზრო ლოგიკით ინსცენირებული მეგობრობა. რაც ახლა გვჭირდება, არის ნამდვილი ევროპული სტუმართმოყვარეობა, რომლის ფარგლებშიც ყველა ჩრდილოეთ ევროპელი, მათ შორის გერმანელებიც სრულად აღიარებენ, რომ სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპელები სრულყოფილად მიეკუთვნებიან ევროკავშირს. ეს საქმე 2008 წელს მთლად კარგად ვერ მოხერხდა, როგორც ყველამ ვიცით, და ახლა, როდესაც ჩვენი ამჟამინდელი ფინანსთა მინისტრიც იგივე თამაშს თამაშობს, რასაც 2008 წელს ვოლფგანგ შოიბლე აკეთებდა, აუცილებლად პრობლემამდე მივალთ. მე არ ვამტკიცებ, რომ აუცილებლად ასე მოხდება, რადგან გერმანიის მხრიდან ევროკომისიის ამჟამინდელი პრეზიდენტის ურსულა ფონ დერ ლაიენის ახლებური პოზიციონირების პირობებში, მაინტეგრირებელი გერმანიის ახალი როლია მოსალოდნელი. მე ვფიქრობ, რომ გერმანია ამჟამად უკეთეს ნაბიჯებს გადადგამს, ვიდრე ეს 2008 წლის ფინანსური კრიზისის დროს გააკეთა. ამით ის თავის მიმართ მეტ ნდობას შეუწყობს ხელს. ეს მნიშვნელოვანია, რათა გერმანია არ აღმოჩნდეს ევროპის ჰეგემონის მდგომარეობაში.

7. ილია მარჯანიძე: ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრმა ქვეყნებმა არჩევანი უკვე გააკეთეს და ბოლო 30 წლის განმავლობაში ნათლად გამოიკვეთა მათი განვითარების მიმართულებები. როგორ ფიქრობთ, იმ ქვეყნებმა, რომლებმაც დასავლური დემოკრატიის გზით განვითარების არჩევანი გააკეთეს, რა მიმართულებით უნდა განავითარონ სისტემები? რა უნდა იყოს/გახდეს ის განსაკუთრებული მახასიათებლები (Alleinstellungsmerkmale), რომლებიც მათ საინტერესო და აუცილებლად საჭირო (unverzichtbar) პარტნიორებად აქცევენ სწორედ დასავლეთის დემოკრატიული საზოგადოებებისთვის, კოვიდ 19-ის პანდემიის შემდეგ შექმნილ ახალ რეალობაში?

მარკუს გაბრიელი: მე ვფიქრობ, რომ თქვენ ახლა გაქვთ შანსი და ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ თქვენ ამ შანსს გამოიყენებთ, **იქცეთ მაგალითად!** არ შეიძლება ისე გამოვიდეს, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ის ქვეყნები, რომლებიც მათი განვითარების გზით დასავლეთს, დასავლურ დემოკრატიას დაუკავშირდნენ, სადღაც, მეორე რიგში აღმოჩნდნენ. ისინი წინა პლანზე უნდა გამოვიდნენ. აი, ეს ესაა უნივერსიტეტებზე ვსაუბრობდით და თქვენს შეკითხვებშიც ძალიან ნათლად ვხედავთ მაგ., საქართველოს განვითარების სტრატეგიებს. აი, ამ იდეებით და სტრატეგიებით უნდა გამოხვიდეთ წინა პლანზე. მე ვისურვებ ისეთ მომავალს, რომელშიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ეს ქვეყნები მაგალითის ფუნქციას შეიძენენ, მათ შორის ევროკავშირის ე.წ. ძირითადი ქვეყნებისთვისაც. ჩვენ ურთიერთობები უნდა შევაბრუნოთ და შევცვალოთ - თქვენ უნდა წარმოადგინოთ განსაკუთრებულად პროგრესული იდეები, რომლებზე ორიენტაციის აღებას სხვები შეძლებენ. ეს იქნებოდა ძალიან მნიშვნელოვანი. არა ისეთი, რომელიც არსებულის გადამდერება იქნებოდა. ამ ქვეყნებს უკვე ყველაფერი აქვთ, რაც ადამიანს სჭირდება. უმნიშვნელოვანესი იქნებოდა, მაგ., პოლონელებისგან, ჩეხებისგან, ქართველებისგან წამოსულიყო ახალი იდეები, როგორ შევძლოთ ერთობლივი მომავლის უკეთესად განსაზღვრა, ყველა იმ ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, რაც ამ ქვეყნებს აქვთ. ყოფილი საბჭოთა კავშირის თითოეულ ქვეყანას მისი ე.წ. ბუნებრივი უპირატესობა გააჩნია, მაგ., სოფლის მეურნეობის მიმართულებით. თქვენი ქვეყანა კავკასიაში მდებარეობს. ჩვენ

მეტი ქართული ღვინო, მეტი ქართული სამზარეულო, მეტი ქართული Soft Power გვჭირდება. მე კარგად ვიცი, რამდენად კარგია ქართული ღვინო და სამზარეულო, მაგ. მოსკოვში, კიევში ყველაზე საუკეთესო რესტორნები ქართულია. ჩათვალეთ, რომ ეს ქართული Soft Power-ია, რომელიც ჩვენც გვჭირდება. რაც შეიძლება მეტი პროგრესული პროექტი გვჭირდება, რათა ყველა ასიმეტრია იქნეს გადალახული.

და უმთავრესი - ჩვენ ხომ სრულიად ახალი სავაჭრო გზები გვჭირდება. ევროკავშირის აღარ სურს მხოლოდ აზიასთან სავაჭრო ურთიერთობებში ყოფნა. მაგ. ყოველთვის პრობლემა იყო, რომ გერმანია შეიძლება ჩინეთზე გამხდარიყო დამოკიდებული, მაგ., მისი ავტონდუსტრიით, ან რუსეთზე დამოკიდებული შეიძლება გამხდარიყო მისი ენერგომომარაგების სექტორი. ამიტომაც, სადაც არ უნდა გაიხედოთ გერმანიაში, ყველგან ქარის ელექტროსადგურებია აშენებული, რათა რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება ყოფილიყო თავიდან აცილებული, რაც ჩვენი ამჟამინდელი სტრატეგიაა. ასევე გვჭირდება ახალი თანამშრომლობები სოფლის მეურნეობის სფეროში და ა.შ.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს, მათი გეოგრაფიული უპირატესობების გამოყენებით, სწორედ ახლა შეუძლიათ „თამაშში შემოსვლა“ მათი პროგრესული იდეების შემოთავაზებით, რომლებიც მომავლის განსაზღვრის მდგრადობაში, ეკოლოგიურობაში, მორალურობაში დაგვეხმარებოდა. ჩემი დევიზი იქნებოდა - აუცილებლად წინ და არავითარ შემთხვევაში უკან! რა თქმა უნდა, რუსეთის სიახლოვე ყოველთვის საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ რამენაირად, ინტერნაციონალურად უნდა მოვახერხოთ, რუსეთიც შემოვიყვანოთ ამ თემში. მანამ, ვიდრე რუსეთი თავის თავს დასავლეთის ოპოზიციად ხედავს, გვაქვს ძალიან, ძალიან საშიში პრობლემა. გვინდა თუ არა, რუსეთი გეოპოლიტიკურად სამყაროს ცენტრია და ამის თვალთახედვიდან გაშვება დიდი შეცდომა იქნებოდა. პლანეტა დედამიწის დიდი ნაწილი რუსეთია, მისი გეოგრაფიული პოზიციის გამო. ამიტომ, ჩვენ ყველამ უნდა ვცადოთ, რუსეთი გლობალურ ღირებულებათა გაერთიანებაში შემოვიყვანოთ.

8. დავით გურგენიძე: თანამედროვე უმაღლესი სასწავლებლები ავტონომიურობის, აკადემიური თავისუფლების სწავლების, სწავლისა და კვლევის ერთიანობის, თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპზეა დაფუძნებული. სწორედ ამიტომ, უნივერსიტეტები წარმოადგენს სტუდენტთა და პროფესორთა ერთობას. აქედან გამომდინარე, ჩემი კითხვა მდგომარეობს შემდეგში: რადგან დოცენტების გარკვეული რაოდენობა სწორედ იმ ასაკობრივ ზღვარშია, რომლებიც კორონავირუსის მოწყვლად ჯგუფებს განეკუთვნებიან, ხომ არ ეკისრებათ სტუდენტ-ახალგაზრდებს უფრო მეტი პასუხისმგებლობა/თვითპასუხისმგებლობა უფროსი თაობის მიმართ, თუ ეს პასუხისმგებლობები თანაბრადაა გადასანაწილებელი?

მარკუს გაბრიელი: ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რომელსაც ჩვენ უნივერსიტეტების ყოველდღიური ორგანიზების დროსაც ვსვამთ. პასუხისმგებლობა, ბუნებრივია, ორივე მხარეზე ნაწილდება. უნივერსიტეტი მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებს, როდესაც სხვადასხვა თაობები, რომლებიც აქ არიან წარმოდგენილი, თანამშრომლობენ. ეთიკა ამ საკითხში, სიმეტრიულად, ორივე მხარისკენაა მიმართული. უნივერსიტეტის ასაკოვანმა პროფესორებმა, რაღა თქმა უნდა, ახალგაზრდა თაობისგან უნდა ისწავლონ. ეს ხომ არ არის ე.წ. top down სტრუქტურა, არამედ ინფორმაციის მოძრაობა სისხლის მომოქცევის ციკლის წესით ხორციელდება. ძველგაზრდები ახალგაზრდებისგან სწავლობენ, ახალგაზრდები ძველგაზრდებისგან სწავლობენ და ასე შემდეგ. სრულიად კონკრეტულად ეს იმას ნიშნავს, რომ ამ კონკრეტული პანდემიის გამო, ჩვენ ისეთი სივრცული სტრუქტურები უნდა შევქმნათ, რომელიც საშუალებას მოგვცემს, დავიცვათ ჰიგიენის წესები, მაგ., ორმეტრიანი დისტანცია და კარგად განიავებული სივრცეები. მეტი არც გვჭირდება და მეტი არც შეგვიძლია. და აუცილებლად უნდა დავინახოთ, რომ ნიღბების საჭიროება არაა, შეუძლებელია აკადემიური სწავლება ნიღბით. ასე კონკრეტულ პერსონას ვერ ვხედავთ, ვხედავთ მხოლოდ ნიღბს მიღმა დამალულ ადამიანს. ისიც საინტერესოა, რომ „გადავრჩით“ ბურკაში სრულად ჩამალულ ადამიანებს ევროპაში, აქ მიმდინარე დისკუსიის შედეგად. ჰიგიენის ნორმების, დისტანციის და

ჰაერის ცირკულაციის უზრუნველყოფა ხომ ტექნიკურად შესაძლებელია. ეს შეგიძლიათ თქვენც, როგორც კარგ ტექნიკურ უნივერსიტეტს, რომ მაგ., გამოიკვლიოთ, როგორ შეიძლება ზემოაღნიშნული პირობების დაცვა. ხომ ცნობილია, რომ ორ მეტრზე მეტი დისტანციის პირობებში, ადამიანის დაინფიცირება არ ხდება. აი, სწორედ ასეთი პირობები უნდა შევქმნათ ჩვენ სასემინარო სივრცეებში. ამოსავალი წერტილი კი ისაა, რომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავბრუნდეთ აუდიტორიებში. იმ დროს, როდესაც კრიზისის პერიოდში უნივერსიტეტი ასე საჭიროა და ის სწორედ ამ დროსაა დახურული, დიდი შეცდომაა. უნივერსიტეტების დახურვა ისეთივე სიბრძნე იქნებოდა, როგორც მაგ., სოფლის მეურნეობის დახურვა. უნივერსიტეტებს სასწრაფოდ სჭირდებათ ფინანსური რესურსი სახელმწიფოსგან, რათა შეიქმნას ისეთი სასემინარო სივრცეები, რომელზეც ვსაუბრობდი. ეს შესაძლებელია, ჩემი აზრით. თუმცა, ამას სწავლების პროცესში გარკვეული ცვლილებები ექნება, მაგ., ერთი და იგივე ლექცია შესაძლოა კვირაში რამდენჯერმე ჩატარდეს, სტუდენტთა უფრო მცირე ჯგუფებისთვის, რომლებიც ჰიგიენისა და უსაფრთხოების სათანადო პირობებით იქნებიან მათ აუდიტორიებში უზრუნველყოფილნი. და ეს ყველაფერი იქამდე, ვიდრე მედიკამენტი გვექნება. როგორც გითხარით, მსურს ხაზი გავუსვა, რომ ჩემი აზრით, ვაქცინა არ იქნება, როგორც ექსპერტები მეუბნებიან, ეს ილუზიაა. და ვაქცინა რომც შეიქმნას, ეს პროცესი 4,5 ან მეტი წელი გაგრძელდება. საზოგადოება და მსოფლიო უბრალოდ განადგურდება, 5 წელი რომ ვაქცინას ველოდოთ. ანუ, როგორც აღვნიშნე, საუნივერსიტეტო პროცესის სრულფასოვნად წარმართვის მდგრადი შესაძლებლობები უნდა ვიპოვოთ. წარმოვიდგინოთ, მაგ., აუდიტორია, რომელშიც პროფესორი სტუდენტებისგან გამჭვირვალე შუშითაა გამოყოფილი. თუკი ეს ჩემს საფუნთუშეში არის შესაძლებელი, შესაძლებელი უნდა იყოს უნივერსიტეტშიც. რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავბრუნდეთ სოციალურ ურთიერთობებს, რათა საზოგადოების ერთობლივად განსაზღვრა შევძლოთ. ეს ონლაინ არ იმუშავებს. იქამდე, ვიდრე ჩვენ ონლაინ ვმუშაობთ, ვმუშაობთ ამერიკული ონლაინ კომპანიებისთვის. რასაც ამ წუთას ვაკეთებთ, ესაა ჩვენი შენატანი კომპანია ზუმის მენეჯერების ანგარიშზე და ეს პრობლემაა. ჩვენ, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ე.წ. ანალოგ-რევილუცია და მეტად ნაკლები დიგიტალიზება გვჭირდება, რათა უკეთესი მომავლის უზრუნველყოფა შევძლოთ.

დავით გურგენიძე: ბატონო პროფესორო გაბრიელ, ჩემი და ჩემი კოლეგების, ჩვენი აუდიტორიის სახელით დიდ მადლობას გიხდით ძალიან საინტერესო და ღრმად შინაარსიანი საუბრისთვის. ვფიქრობ, ჩვენი საუბრის მიზანი მიღწეულია, რაც სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ დროულად ვიფიქროთ ახალ, თითქმის ჩვენგან დამოუკიდებლად მომავალ, მოსალოდნელ რეალობაზე და მაქსიმალურად შევეცადოთ, ის ჩვენთვის ყველასთვის საინტერესო გავხადოთ; ეს ახალი რეალობა ჩვენივე აქტიური მონაწილეობით ვაქციოთ ისეთად, სადაც ადამიანებისთვის შესაძლებლობების თანაბრობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცევა, რაც თავის მხრივ, ნამდვილად არის უკეთესი, მაქსიმალურად ყველასთვის სასურველი, სოლიდარული საზოგადოების შექმნის წინაპირობა.